პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 228 (12740) | კვირა, 29 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულთბილად მიულოცეს სმოლენსკის ოლქის მშრომელებს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება. ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბედლებში შეინახეს 5 მილიონ 535 ათასი ფუთი მარცვალი, ანუ 1 მილიონ 239 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი გაგზავნილ წერილში სმოლენსკის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები პირობას იძლევიან, რომ ისინი ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიმარაგეს საგაზაფხულო მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსნების თესლი, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მოაწყვეს საშემოდგომო თესვა, ახორციელებენ ღონისძიებებს მზრალად ხვნის გეგმის სწრაფი შესრულებისათვის. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს მესლეტმაც, რომლებმაც მოიწიეს საბობკოვე სელის ბოჭკოსა და თესლის კარგი მოსავალი. მინდვრის მშრომელებმა გაშალეს შეჯიბრება ნამბალი სელისა და სელის ჩალის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის შესრულებისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს ეს გეგმა შეასრულონ დიდი რქტომბრის წლისთავისათვის, ხოლო თესლის დამზადების გეგმა — უსწრაფეს დროში.

ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ წარმატებით და ხარისხოვნად დაამთავრონ კარტოფილის აღება, დროულად უზრუნველყონ მოსკოესა და ლენინგრადში კარტოფილის გაგზავნის დავალება, ისინი ცდილობენ წარმატებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის რძის, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები, რაც შეიძლება მეტი საკვები დაამზადონ საზოგადოებრივი პირუტყვისათვის.

(საკდესი).

მწყრალი ჯილდო

ამერიკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა წარმატებით დაამთავრეს ერევან-სევანის ხაზის ელექტროფიკაცია. ახლა სარკინიგზო მიმოსვლა მომძე სომხეთის დედაქალაქსა და რესპუბლიკის სწრაფად მზარდ სამრეწველო ცენტრს — რაზდანს შორის ერთიორად უფრო სწრაფად ხორციელდება. ერევან-სევანის უბნის ელექტროფიკაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ინჟინრები, ტექნიკოსები, საკონტაქტო ქსელის ოსტატები, მემონტაჟეები, ქვესადგურების მშენებლები და სხვა სპეციალისტები. მათმა თავდადებულმა მუშაობამ დიდმნიშვნელოვანი რკინიგზის უბნის ელექტროფიკაციისათვის მაღალი შეფასება დაიმსახურა. სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს წარგზავნილთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიპატიო სიგელით.

დაჯილდოებულთა შორის არიან ამიერკავკასიის რკინიგზის ენერგომომარაგების თბილისის უბნის საკონტაქტო ქსელის ოსტატი — **ი. ა. კაპანაძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის ენერგომომარაგების ხაშურის უბნის ელექტრომექანიკოსი **გ. ზ. დამბაშიძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე **ი. გ. ქარუმიძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამსახურისა და ენერგეტიკული მეურნეობის უფროსი **მ. ზ. თოიძე**, ენერგომომარაგების სოხუმის უბნის უფროსის მოადგილე **პ. ი. ციცქიშვილი**. ამიერკავკასიის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის გორის დისტანციის მონტიორი **ს. ა. დრიაევი**, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციის სამსახურისა და ენერგეტიკული მეურნეობის მთავარი ინჟინერი **ი. ა. თოფჩიშვილი**, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველი **ა. ტ. ცატუროვი** და სხვები. (საქდესი).

იური გაგარინის მისალმება

27 სექტემბერს ლენინგრადის ნორჩმა კოსმონავტებმა პირველ შეკრებაზე მოიყარეს თავი ყდანოვის სახელობის პიონერთა დარბაზში. მომავალ საპლანეტათშორისო მოგზაურებს მხურვალე მილოცვა შემოუთვალა საბჭოთა კავშირის გმირმა კოსმონავტმა მფრინავმა იური გაგარინმა. მან აცნობა, რომ განსაკუთრებული სალამი ნორჩ კოსმონავტა გოგონებს შემოუთვალა ვარსკვლაველმა დამ ვალენტინა ტერეშკოვამ.

ჩვენ, თქვენი უფროსი მეგობრები, დარწმუნებული ვართ, წერს იური გაგარინი, რომ ლენინგრადის ნორჩ კოსმონავტთა რაზმში იზრდებიან ისინი, ვინც გაკვალავს დედამიწა-მთვარის, დედამიწა-მარსის, დედამიწა-ვენერის კოსმოსურ ტრასებს. მთელი ჩვენი რაზმი წარმატებებს გისურვებთ სწავლასა და შრომაში, შეუპოვრობასა და სიმტკიცეს თქვენი სანუკვარი ოცნების მიღწევაში. (საქდესი).

სანეს იცვლის უკრაინის ველები

ნოვაია კახოვკა (ხერსონის ოლქი), 28 სექტემბერი. (პრესჯგუფი). კახოვკის წყალსაცავთან, ქალაქის ოდნავ ზემოთ იღებს სათავეს კრასნოზნამენსკის მაგისტრალური არხი. აქედან იწყებს დნეპრის წყალი თავის გზას ტავრიის ველებისაკენ და სიცოცხლე მიაქვს თან.

ამ ადგილებს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. გუშინ მან დაათვალიერა კრასნოზნამენსკის სარწყავი სისტემა, ეწვია მეურნეობებს, სადაც მიწის მნიშვნელოვან მასივებს რწყავენ. მასთან ერთად ტავრიის ველებში მოგზაურობდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. პ. კაზანეცი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კორეტჩენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გ. კომიაზოი, უკრაინის სამხრეთის ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სარწყავი სისტემის დათვალიერება დაიწყო კრასნოზნამენსკის არხის სათავე ნაგებობიდან. ხერსონის წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსმა ლ. პ. გოლოვკომ თქვა, რომ არხის სათავე ნაწილი და პირველი უბანი გათვალისწინებულია წამში 380 კუბური მეტრი წყლის მისაწოდებლად და გასაშვებად. ეს 500 ათას ჰექტარზე მეტი მიწის მორწყვის საშუალებას შექმნის. საირიგაციო სისტემის მშენებლობა და ათვისება ერთდროულად მიმდინარეობს. წყალი უკვე მიიღო ხერსონის ოლქის კახოვკის, გოლაია პრისტანისა და სკადოვსკის საწარმოო სამმართველოების ოცდაათმა მეურნეობამ.

ნ. ს. ხრუშჩოვს აინტერესებს, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, როგორია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების გაფართოების შესაძლებლობა სარწყავ მიწებზე. კრასნოზნამენსკისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების ბაზაზე მორწყვის განვითარების პერსპექტივებზე ესაუბრა ნიკიტა სერგის-ძეს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ე. ალექსეევსკი. მანქანები სათავე ნაგებობიდან რვა კილომეტრზე გააჩერეს. აქ ექნება სათავე კახოვკის მაგისტრალურ არხს, რომლითაც დნეპრის წყალი ჩაპლინკის, გენიჩესკისა და მელიტოპოლის სარწყავო სამმართველოების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებისაკენ წავა.

— მელიტოპოლამდეც მივა წყალი? — იკითხა ნიკიტა სერგის-ძემ.

— დიახ. მელიტოპოლი და მის გარშემო მდებარე მიწები მიიღებენ წყალს, — უპასუხა ამხ. ალექსეევსკიმ. — არხის აგება 400 ათასი ჰექტარის მორწყვის საშუალებას მოგვცემს. აქედან 100 ჰექტარი შეგვიძლია ბრინჯის თესლბრუნვისათვის გამოვიყენოთ. მარცვლის მთლიანი მოსავალი 560 მილიონ ფუთს მიაღწევს. არხის მშენებლობის დაწყება უკვე მომავალ წელს შეიძლება.

— როგორი მოსავლის მიღებას ვარაუდობთ? — ჰკითხა ამხ. ხრუშჩოვმა.

— ხორბალი — 40 ცენტნერი ჰექტარზე, ბრინჯი — 50, სიმინდი — 70 ცენტნერი.

— მოწინავე მეურნეობები სარწყავ მიწებზე 80 და მეტ ცენტნერ სიმინდის მარცვლის იღებენ ჰექტარზე. ასეთი ამოცანა თქვენც უნდა დაისახოთ, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მანქანები კვლავ არხის გასწვრივ მიჰქრიან. მარჯვნივ მოჩანს ოსტატურად გაჭრილი სარწყავები. მუშაობენ საწვიმარი მანქანები. ეს მანქანები რწყავენ სიმინდის ნაწვერალა ნათესებს, საშემოდგომო კულტურებს, ტენით ყღენთავენ ნიადაგს. სოფელ ჯანბოკოის მახლობლად არხის ფერდობზე თეთრი ქვებით გამოყვანილია ისარი და წარწერა: „ყირიმისაკენ“. იწყება ჩრდილოეთ ყირიმის არხის ტრასა. მისი სიგრძე 400 კილომეტრს აღემატება. კახოვკა-ჯანკოის მონაკვეთზე წყალი თვითდინებით წავა, შემდეგ კი ოთხი სატუმბავი სადგური 80 მეტრის სიმაღლეზე აიტანს წყალს.

განმარტებებს იძლევა „ყირიმწყალმშენის“ ტრესტის მმართველი ტ. პ. სენკევიჩი. იგი უამბობს, თუ როგორ მიმდინარეობს არხის მშენებლობა, რომ მისი სიმძლავრე თავდაპირველ პროექტთან შედარებით ერთისამად და მეტად გაიზარდა. ჩრდილოეთ ყირიმის არხი 165 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვის შესაძლებლობას შექმნის. არხის მონაკვეთი 61-ე კილომეტრიდან 125-ე კილომეტრამდე უკვე აშენდა. უახლოეს დღეებში დნეპრის წყალი ყირიმისკენ წავა, ხოლო მომავალი წლის გაზაფხულზე — მინდვრებზე. შემდეგი მონაკვეთი: 125-ე კილომეტრი — ჯანკოი — აიგება 1964 წელს. მთელი არხის მშენებლობის დამთავრება გათვალისწინებულია 1969 წელს. მაშინ ყირიმის სარწყავი მიწები ყოველწლიურად 33 მილიონ ფუთ მარცვალს, ბევრ ბოსტნეულსა და სხვა პროდუქტებს მოგვცემენ.

კარგია, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — მაგრამ წყლის გაყვანა ყველაფერი როდია. საჭიროა ხსე მოვაწყოთ საქმე, რომ მაგისტრალური არხების მშენებლობასთან ერთად ავაშენოთ და ავითვისოთ სარწყავი სისტემა. ეს არის მთავარი, — ხაზი გაუსვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — საირიგაციო სისტემების კომპლექსური მშენებლობის კარგ გამოცდილება დაგროვდა მშიერ ველზე. თქვენ უნდა ისარგებლოთ ამ გამოცდილებით.

სოფლის შარაგზა კოლმეურნეობა „ნოვე ყიტაის“ მინდვრებზე გადის. მარცხნივ კედელივით აღმართულა სიმინდის ყანა. ეს სოციალისტური შრომის გმირის, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. ი. რომანიუკის რგოლის ნაკვეთია.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმა რგოლის წევრებს, მეურნეობის ხელმძღვანელებს. კოლმეურნეებმა მ. სინიაკოვამ, ტ. აზოვსკაიამ უყვავილების დიდი თაიგულები მიართვეს ნიკიტა სერგის-ძეს, ხოლო მერგოლურმა ა. რომანიუკმა სარწყავ მიწებზე მოყვანილი სიმინდის ტაროებისაგან გაკეთებული გვირგვინი გადასცა. ამხანაგმა ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა კოლმეურნეებს. იწყება სიმინდის ყანების დათვალიერება.

ნიკიტა სერგის-ძემ იკითხა, თუ როგორ აგროტექნიკას იყენებენ, რამდენჯერ მორწყეს ყანა.

— ნაკვეთზე ჰიბრიდი „ვირ-156“ მოგვყავს, — თქვა ა. რომანიუკმა. — ყანა ხუთჯერ მოვარწყეთ. პირველ რწყვაზე 800 კუბური მეტრი წყალი დაიხარჯა, ხოლო მთელ ვეგეტაციის პერიოდში 3 ათასი კუბური მეტრი წყალი დავხარჯეთ ჰექტარზე.

— ეს ბევრია, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა. — ამ დღეებში უუბანში ვიყავი. იქ საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცკი“ სიმინდი წელს ორჯერ მორწყეს, ჰექტარზე 800 კუბური მეტრი წყალი დახარჯეს, მოსავალი კი ჰექტარზე 75 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. თქვენ რამდენს აიღებთ?

— საშუალოდ 85 ცენტნერს, — უპასუხეს მას.

ყოჩაღ! — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ნიკიტა სერგის-ძემ შენიშნა, რომ ცალკეული ტაროები დაუმწიფებელი, არასრულფასოვანია. ეს იმის ნიშანია, რომ მცენარეს ჩაღაც მინერალური ნივთიერება აკლდა. საჭიროა სასუქის უფრო სწორად შეტანა.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები ამხანაგები მეზობლად მდებარე ყანაში გადავიდნენ, სადაც სიმინდი მოჰყავს კოლმეურნეობა „რადიანსკა უკრაინის“ ა. ფ. სერიკის რგოლს. ამ არტელის მიწათმოქმედებმა, არახელსაყრელი ამინდის პირობებში მიუხედავად, წელს მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიწიეს. საშუალოდ ჰექტარზე მათ 25,6 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, მათ შორის თითქმის 20 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი. 444 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღბულია 55 ცენტნერი ბრინჯი. სხვა კულტურების მოსავალიც კარგი მოიწიე. კოლმეურნეობაში სიმინდის ნაწილი სარწყავ მიწებზე მოჰყავთ. ნიკიტა სერგის-ძე მიუახლოვდა ერთ-ერთ ასეთ ნაკვეთს და მაშინვე შენიშნა:

— სიმინდი კარგი გაქვთ. მაგრამ ხშირია.

— ეს სასილოსე სიმინდია, — უპასუხა ამხ. სერიკმა.

— სულერთია, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, — არც სასილოსედ შეიძლება სიმინდის ასეთი სიხშირით თესვა. მწვანე მასას ბევრს მიიღებთ, ტაროები კი ცოტა იქნება, ასეთი სილოსის საკვები ღირსება დაბალია.

სიმინდის ყანაში მუშაობს ახალი კომბაინი, რომელიც ხერსონელმა კომბაინთმშენებლებმა შექმნეს. ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი ა. პ. სოლომიკინი განმარტავს ახალი მანქანის მუშაობის პრინციპებს. კომბაინით შეიძლება სასილოსე და სამარცვლე სიმინდის მოსავლის აღება. იგი ადვილად ტეხავს ტაროებს, აცლის ფუჩეჩს, ხოლო ჩალას აქუცმაცებს. მანქანა ადვილად უმკლავდება მაღალტანიან სიმინდს. კომბაინი „ხერსონეც-7“ საწარმოო გამოცდას გადის მეურნეობაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი კოლმეურნეობა „ნოვე ყიტაის“ ყანაში დაბრუნდა. მან დაათვალიერა „დნეპრულა-200“ ჯიშის სიმინდის ნათესები.

— სიმინდი ძალიან კარგია, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ. შეხედეთ, რა მაღალია. ალბათ, 4-5 მეტრი იქნება, მაგრამ 90 სანტიმეტრის ორი წლის წინათ, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, მე კოლმეურნეობა „პოლიტოტდელში“ ვიყავი მერგოლურ ლუბა ლისთან. მას 60×60 სანტიმეტრზე უნდოდა სიმინდის დათესვა. მაშინ მე ვურჩიე ეცადნა სხვადასხვა სქემით თესვა: 60×60, 70×70, 90×90 სანტიმეტრზე და ამოერჩია, რომელი იქნებოდა უკეთესი. სწორედ ასე მოიქცა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უხვი მოსავალი სიმინდმა იქ მისცა, სადაც 90 სანტიმეტრის მწკრივთაშორისებით იყო დათესილი. თქვენცა სცადეთ.

— თქვენს ხელში დიდი სიმდიდრეა — სარწყავი მიწები, — უთხრა კოლმეურნეებს გამოთხოვებისას ნიკიტა სერგის-ძემ, — და ეს სიმდიდრე გონივრულად უნდა გამოიყენოთ.

შავი ზღვის ნაპირას, სკადოვსკის შორიახლო, გადაშლილა საბჭოთა მეურნეობა „სკადოვსკი-90“-ის ბრინჯის ყანები. ეს სიახლეა ამ ადგილებისათვის. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ აქ ბიცობები იყო. მიწები უვარგისად ითვლებოდა, არაფერი ხარობდა. ახლა კი მხვნელმთესველები ბრინჯის უხვ მოსავალს იღებენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ეგებებიან სკადოვსკის საწარმოო სამმართველოს უფროსი ი. ა. კოტკოვინი, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ზ. ტკაჩუკი, მეზობელი კოლმეურნეობის „რადიანსკა უკრაინის“ თავმჯდომარე გ. ს. პოპოვიჩი. მათ ნ. ს. ხრუშჩოვს პარკით ბრინჯი და ორი პატარა ძნა გადასცეს. პარკზე და ლენტებზე, რომლითაც ძნებია შეკრული, წერია: „სკადოვსკის საწარმოო სამმართველოს მებრინჯეები წელს ჰექტარზე 50-53 ცენტნერ ბრინჯს მიიღებენ“, „საბჭოთა მეურნეობა“ „სკადოვსკი-90“, ჯიში „დუბოვსკი-129“, ნავარუდევი მოსავალი — 45 ცენტნერი“. „კოლმეურნეობა „რადიანსკა უკრაინა“ — „კრასნოდარულა-424“ ჯიშის ბრინჯი, მოსავალი 65 ცენტნერი“. ეს იმ მეურნეობათა პატაკია, რომლებიც პირველი წელია მებრინჯეობას მისდევენ.

— რა გიჯდებათ ცენტნერი ბრინჯი? — დაინტერესდა ნიკიტა სერგის-ძე.

— ოთხი მანეთი და 22 კაპიკი, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. ტკაჩუკმა. — სახელმწიფო კი 22 მანეთს გვიხდის. მომგებიანი კულტურაა. შრომის დანახარჯი ერთი ცენტნერი ბრინჯის მოყვანაზე 0.21 კაცდღეს უდრის. ჩვენი ანგარიშით პირველ წელსვე მებრინჯეობიდან 320 ათას მანეთი წმინდა შემოსავალს მივიღებთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბრინჯის ნაკვეთს მიუახლოვდა. ბრინჯი დამწიფებული. წყალში კი მოჩანს. თუ როგორ დაცურავენ ჭანარი, კარჩხანა, კობრი. უკრაინის მეთევზეობის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა აელიტა კონსტანტინეს ასულმა ჩიჟიკმა ილაპარაკა იმ ცდებზე, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობის ბრინჯის პლანტაციებში აწარმოებენ. გაზაფხულზე აქ ლიფსიტები გაუშვეს. მაშინ ისინი 10-20 გრამს იწონიდნენ, ახლა კი 300-400 გრამიან თევზებს იჭერენ. განსაკუთრებით კარგად ეგუება ბრინჯის ნაკვეთებს ჭანარი.

ამხანაგ ხრუშჩოვს აინტერესებს რამდენი თევზის მოშენება შეიძლება ჰექტარზე.

— ახლა თითო ცენტნერს ვიღებთ, — უპასუხა ა. კ. ჩიჟიკმა, — თევზის მოშენების ხარჯები დიდი არ არის.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს წარმატება უსურვა წარმოების განვითარებაში.

ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი სამხრეთ უკრაინის სარწყავი მიწების შემდგომი ათვისების საკითხებზე ესაუბრა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მეცნიერებს, ირიგაციორებს, მშენებლებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი

გაიმართა საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პირველი პლენუმი. პლენუმმა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია **ნ. ს. მეტრეველი**, ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მდივნად არჩეულია **ე. დ. ლომაძე**.

საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში არჩეული არიან **ნ. ს. მეტრეველი, ე. დ. ლომაძე, დ. ვ. მშვიდობაძე, ვ. კ. აბესაძე, ნ. გ. კაპლუნენკო, ს. ი. გორგიჯანოვი, ა. გ. კარაევი, შ. ა. ზარანდია, ა. ე. ალექსეენკო, გ. გ. შენგელია, ნ. ა. კაჭარავა.**

პლენუმმა გადაწყვიტა შეიქმნას საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მრეწველობასა და მშენებლობაში საზოგადოების ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია **ე. დ. ლომაძე**. საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სოფლის მეურნეობაში საზოგადოების ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ — **დ. ვ. მშვიდობაძე**. (საქდესი).

გეოლოგთა სრულიად საკავშირო ფორუმი

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში 28 სექტემბერს გაიხსნა ლითოლოგთა სრულიად საკავშირო VI თათბირი. თათბირი მიეძღვნა ვულკანოგენურ-ნალექოვანი ქანების წარმოშობის საკითხებს და მათთან დაკავშირებულ სასარგებლო წიაღისეულს.

გადაწყვეტილება, მოიწვიონ ლითოლოგთა თათბირი ამიერკავკასიაში, კერძოდ, თბილისში, შემთხვევითი როდია. კავკასიის ტერიტორიაზე მდიდრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ხნის ვულკანოგენურ-ნალექოვანი ფორმაციები.

თათბირში მონაწილეობას იღებს 400-მდე გეოლოგი. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის მეცნიერები, აკადემიკოსი **ა. ინშინი**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ა. სიდორენკო, ი. გორსკი, მ. მუ ტოვი**, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები **შ. აზიზბეკოვი** და **ა. სულთანოვი**, პროფესორები **მ. შეფცოვი, ს. სარჭისიანი, ი. ხვოროვა, ვ. მოკრინსკი** და სხვები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ** გახსნა თათბირი და მიესალმა თათბირის მონაწილეებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელით.

— გეოლოგთა ამ ფორუმის მიზანია, — ამბობს იგი, — გავუზიაროთ ერთმანეთს ვულკანოგენურ-ნალექოვანი ფორმაციების გამოკვლევათა გამოცდილება და დავსახოთ ღონისძიება მათი შემდგომი სისტემატური შესწავლისათვის.

თათბირზე გამოვიდა სსრ კავშირის გეოლოგიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრი **ა. სიდორენკო**, რომელიც შეეხო მეცნიერ-გეოლოგთა რეკომენდაციების პრაქტიკული გამოყენების საკითხებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ი. გორსკი** ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ წინათ გამოყენებულ პეტროგრაფიულ გამოკვლევებს ახლა დაემატა სასარგებლო წიაღისეულის ძიების ახალი თანამედროვე მეთოდები.

პირველი თათბირი მიეძღვნა ეფუზიურ-ნალექოვანი ქანების წარმოქმნის საერთო საკითხებს და შემდგომი გამოკვლევების ამოცანებს. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნალექოვანი ქანების კომისიის თავმჯდომარის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს **ნ. სტრახოვის** მოხსენება — „ეფუზიურ-ნალექოვანი დანალექების შესწავლის ძირითადი ამოცანები“ — წაიკითხა პროფესორმა **ვ. იაბლოკოვმა.**

ვულკანიზმის გავლენა ნალექების წარმოშობაზე გააშუქა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **გ. ძოწენიძემ.** მან განაზოგადა ვულკანოგენურ-ნალექოვანი ქანების გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგი და გააშუქა ქიმიურ ნივთიერებათა როლი სასარგებლო წიაღისეულის ნალექოვანი საბადოების წარმოშობაში.

ვულკანოგენურ-ნალექოვანი ფორმაციების გამოყოფისა და ტიპიზაციის პრინციპების შესახებ მოხსენება წაიკითხა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ი. ხვოროვამ.** დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის **ე. ზელენოვას** მოხსენებამ — „ფალქვეშა ვულკანიზმის თავისებურებანი ინდონეზიის ბალუ-ლუხუს ვულკანის მაგალითის მიხედვით.

თათბირი გაგრძელდება 4 დღეს.

(საქდესი).

ამიერკავკასიის მეცხოველეთა თათბირი-სემინარი

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე თქვა, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მშრომელთა წარმომადგენლები უფრო ხშირად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, უფრო ფართოდ გაუხიარონ მუშაობის გამოცდილება, დაეხმარონ ერთმეორეს, სრულყონ თავიანთი ცოდნა.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ეს მითითება მიღებულია მოქმედების სახელმძღვანელოდ. უკვე გაიმართა ამიერკავკასიის თათბირები ფეოლოგიურ საკითხებზე, ჩამის განვითარების, მებოსტნეობის საკითხებზე, ხოლო 25-26 სექტემბერს სომხეთში გაიმართა მეცხოველეობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირი-სემინარი, რომელიც მოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურომ.

სომხეთის სსრ, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრების მოადგილეების მ. შაროიანის, დ. ნიკურაძისა და ბ. აღაევის მოხსენებებში აღინიშნა, კერძოდ: იმის შეხებით, რომ პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, უკანსკნელი წლების მანძილზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მოპოვებული გარკვეული წარმატებანი პირუტყვისა და ფრინველის სულადობის გადიდებაში, მათი პროდუქტიულობის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში.

მაგალითად, 1962 წელს 1953 წელთან შედარებით სომხეთში გაიზარდა წარმოება — ხორცისა 11.1 პროცენტით, რძისა 92,3 პროცენტით, მატყლისა 17,3 პროცენტით და კვერცხისა ექვსჯერ, ამავე ხნის განმავლობაში აზერბაიჯანელმა მეცხოველეებმა ხორცის წარმოება გაადიდეს 1,8-ჯერ, რძისა — 1,7-ჯერ, მატყლისა — 35 პროცენტით და კვერცხისა ორჯერ, ხოლო საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ხორცის წარმოება გაადიდეს 23 პროცენტით, რძისა — 37 პროცენტით, მატყლისა — 2 პროცენტით და კვერცხისა — 50 პროცენტით.

მაგრამ, როგორც მომხსენებლებმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მეცხოველეობის განვითარების მიღწეული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნილებებს, არ შეესაბამება იმ უდიდეს შესაძლებლობასა და რეზერვებს, რომლებიც აქვთ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

მათ აღნიშნეს, რომ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება და სოფლის მეურნეობის რეზერვები საშუალებას გვაძლევენ მივიჩნიოთ, რომ მეცხოველეობის გაძღოლის გონივრული ორგანიზაციის, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა ფართოდ დანერგვის შედეგად შეიძლება მივაღწიოთ ხორცის, რძის, მატყლისა და კვერცხის წარმოების შემდგომ მნიშვნელოვან გადიდებას და ამასთანავე მათი თვითღირებულების კვეთრად შემცირებას. თათბირზე აღინიშნა, რომ შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, როცა მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გვერდით ჯერ კიდევ არის მეურნეობანი, სადაც მეცხოველეობა ძლიერ ჩამორჩება, თუმცა ერთნაირ ბუნებრივ პირობებში მუშაობენ.

მთავარია სპეციალიზაცია

სწორი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განხორციელების საკითხებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — თქვა თავის გამოსვლაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ა. მახუჩარიშვილმა. როგორც ცნობილია, დიდხანს მიიჩნდათ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, როგორც მრავალდარგოვანი საწარმოები, უნდა ეწეოდნენ ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანასა და თითქმის ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის მოშენებას. ამის შედეგად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობა ირსებითად გახდა უნივერსალური მეურნეობა, სადაც აწარმოებენ ყველაფერს ცოტ-ცოტას. ასეთი მდგომარეობა, ერთი მხრივ, აფერხებდა საერთოდ მეურნეობის ეკონომიურ აღმავლობას, მეორე მხრივ, ხელს უშლიდა სახელმწიფოს შეემცირებინა მეცხოველეობის პროდუქციის ფასები.

წარმოების კონცენტრაციის ეკონომიური ეფექტიანობა საყოველთაოდ ცნობილია. დიდ ფერმებში წარმოების ხარჯები ნაკლებია, უფრო სრულად იყენებენ მ

ამიერკავკასიის მეცხოველეთა თათბირი-სემინარი

(დასასრული)

— —

მაგლობაში მოგვცა 8.789 კილოგრამი რძე, რომლის ცხიმიანობა 3,95 პროცენტს შეადგენდა.

კვების თანაბარ დონეზე საქართველოს პირობებში კავკასიის წაბლა ჯიშის პირუტყვი მეტ რძეს იძლევა, ვიდრე ის პირუტყვი, რომელიც ჩამოჰყავთ ჯიშის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ბაკურიანთის საბჭოთა მეურნეობაში ჩამოყვანილი კარპატის წაბლა პირუტყვის ჯიშის 25 დეკეული და უმობელი ძროხებად გახდომის შემდეგ საშუალოდ 540 კილოგრამით ნაკლებ რძეს იძლევიან, ვიდრე ახალი ჯიშის ძროხები, ამასთან ჩამოყვანილი ძროხების რძის ცხიმიანობაც 0,1-0,3 პროცენტით ნაკლები იყო.

ახალი ჯიში კარგად შეეგუა ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკისა და ჩრდილო კავკასიის პირობებს. იგი უკეთ იყენებს ადგილობრივი მთის საძოვრებს, ვიდრე ჩამოყვანილი ჯიშის პირუტყვი.

კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის გამოყვანის გამოცდილება ყურადღებას იმსახურებს იმითაც, რომ იგი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და ჩრდილო კავკასიის მეცხოველეთა და პრაქტიკოსთა მეგობრული თანამშრომლობის მაგალითია.

ახლა ჩვენს წინაშე დგას სხვა ამოცანა — გავაუმჯობესოთ ახალი ჯიში. ცნობილია, რომ ევროპული, თუნდაც დიდი ხნის წინათ გამოყვანილი კულტურული ჯიში ვერ იარსებებს დიდხანს და დაკარგავს თავის ძვირფას თვისებებს თუ არ იქნა გაწეული სათანადო მუშაობა. რაც უფრო მაღალია ჯიშის პროდუქტიულობის მიღწეული დონე, მით უფრო ძნელია მუშაობა მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სულ ფრთხილი გამოანგარიშებითაც კი, თუ განვახორციელებთ საჭირო ღონისძიებებს კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის გასაუმჯობესებლად და მოსაშენებლად (უახლეს წლებში საქართველოში ამ ჯიშის ძროხის სულადობა მიაღწევს დაახლოებით 50 ათასს), მაშინ თითოეული ასეთი ძროხა ერთნაირი კვების პირობებში მოგვცემს 10 ცენტნერით მეტ რძეს, ვიდრე იძლევდა ნაკლებად პროდუქტიული ძროხა, რომლის მოშენებასაც წინათ მისდევდნენ, ხოლო ერთი სული დაბაკლავი პირუტყვის ცოცხალი წონა საშუალოდ გადიდდება ერთი ცენტნერით, ამასთან ნაკლები იქნება პროდუქციის თვითღირებულება.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ჯიშის მოშენება უაღრესად ხელსაყრელია, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო ჯეროვნად არ ზრუნავს მისი გაუმჯობესებისა და მომრავლებისათვის. ძირითადი ნაკლი ის არის, რომ საქართველოში არ არის ამ ჯიშის სანაშენო ქარხანა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს პროფესორ ა. ბაიბურტიანის გამოსვლა სოფლის მეურნეობის ცხოველთა დაკოდვის შესახებ.

სოფლის მეურნეობის ცხოველთა დაკოდვას აქვს მთელი რიგი სამეურნეოეკონომიური უპირატესობანი. დაკოდვა ხელს უწყობს ხორცისა და მატყლის პროდუქტიულობის გადიდებას. ქირურგიული თვალსაზრისით დაკოდვის ახალი მეთოდი გაცილებით ხელსაყრელია დაკოდვის იმ მეთოდებთან შედარებით, რომლებსაც დღემდე იყენებდნენ. ამიერკავკასიის მეცხოველეობის მეურნეობებში ახალი მეთოდის ყველგან დანერგვას ზშირად მაღალი ხელის ტექნიკა. ზოგიერთმა სპეციალისტმა ეს მეთოდი იოლ მეთოდად მიიჩნია და არღვევს ინსტრუქციის მოთხოვნებს, არ იცავს დაკოდვისათვის საჭირო ასაკს, არ უზრუნველყოფს სათესლის პარენქიმის ჯეროვნად ამოცლას, განმეორებით არ ამოწმებენ ცხოველებს დარჩენილი პირუტყვის დაკოდვის მოსათავებლად.

თუ რა მუშაობას ეწევიან აზერბაიჯანის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი ჯიშის კამეჩის გაუმჯობესებისა და მისი წველადობის გადიდებისათვის ილაპარაკა სრულიად საკავშირო ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აგაბეგოვმ. პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა აზერბაიჯანის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ვეერტოვმა. პროფესორმა ა. რუხტიანმა მოხსენება წაიკითხა მეცხოველეობის ერთერთი მთავარი დარგის — მთის მეცხვარეობის განვითარების შესახებ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. სტეპანიანმა ილაპარაკა კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის სანაშენო მუშაობის ორგანიზაციაზე. თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დოცენტის ლ. რჩეულიშვილის მოხსენება მალამზარდი მეცხვარეობის განვითარების შესახებ.

მეცხოველეობას სჭირდება არა მარტო პირუტყვის სულადობის გადიდება, საკვების წარმოების გაფართოება, არამედ, აგრეთვე ფერმების მთელი მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნა, მეცხოველეობის ახალ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ამასთან დაკავშირებით თათბირის მონაწილენი პირველ პლანზე აყენებდნენ მეცხოველეობის შრომატევად პროცესთა სპეციალიზაციისა და მექანიზაციის საკითხებს. იმაზე თუ რა მუშაობა წარმოებს სომხეთში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმების მექანიზაციისათვის, ილაპარაკა რესპუბლიკური თავმჯდომარის „სომხსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ა. ვართანოვმა.

არც ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა

ამაზე ილაპარაკა თითქმის ყველამ ვინც თათბირზე გამოვიდა. მათ, კერძოდ, აღნიშნეს, რომ ახლა როცა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ყველა პირობა აქვთ მეცხოველეობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის, არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა. საქმის წარმატება ახლა დამოკიდებულია ორგანიზატორულ მუშაობაზე, ადამიანებზე, რეზერვების გონივრულად გამოყენებაზე, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაზე.

იმაზე, თუ როგორ იყო აღმოფხვრილი ხანგრძლივი ჩამორჩენა, თათბირზე ილაპარაკა საქართველოს სსრ ახალქალაქის საწარმოო სამმართველოს სულდის მეხორცეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. ოგანესიანმა.

ეს მეურნეობა შექმნილია ოთხი ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ბაზაზე. ორი წლის მანძილზე საბჭოთა მეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 890 სულით, ძროხისა — 160 სულით, ცხვრისა — 1570 სულით. ამასთანავე მკვეთრად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტის წარმოებაც. ახლა საბჭოთა მეურნეობა აწარმოებს ერთიორად მეტ რძესა და ხორცს, ვიდრე ის ოთხი კოლმეურნეობა, რომელთა ბაზაზეც ეს საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. საგულისხმოა, ისიც, რომ ახლა ამ მეურნეობის ყველა დარგს მოაქვს დიდი შემოსავალი, ხოლო საბჭოთა მეურნეობა მთლიანად დიდ რენტაბელურ მეურნეობად გადაიქცა.

ფართო გეგმები დასახა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა უახლოესი 2-3 წლისათვის. კერძოდ, განზრახულია შეიქმნას დიდპროდუქტიული ჯიშიანი ძროხების ნახირი და კარგად მოწყობილი ხელოვნური დათესვლის გზით აღმოიფხვრას ბერწიანობა. დიდი მუშაობა წარმოებს ახლა საბჭოთა მეურნეობაში ჭაობების ამოშრობისა და ახალი მიწების ათვისებისათვის, მინდვრების ქვისა და ბუჩქნარისაგან გაწმენდისათვის. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად განვამტკიცოთ საკვები ბაზა, გავადიდოთ პირუტყვის რაოდენობა 100 ჰექტარ სავარგულზე.

ნოემბერიანის მერძეველობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის წარმატებებზე, მის ადამიანებზე ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ლ. ჩილინგარიანმა. მეურნეობა შექმნილია ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ბაზაზე. განხორციელებულა ღონისძიებებმა საბჭოთა მეურნეობას საშუალება მისცეს მნიშვნელოვნად გაეზარდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ერთიორად და მეტად გადიდდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ძროხის სულადობა, ერთიორად ღორის სულადობა, ხოლო ქათმისა 13-ჯერ. წველადობა თითოეულ ძროხაზე გადიდდა თითქმის 900 ლიტრით, ხორცის წარმოება ხუთჯერ.

— საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის წარმატება, — თქვა ამხ. ლ. ჩილინგარიანმა, — აიხსნება იმით, რომ ჩვენ მეტად სერიოზული ყურადღება დავუთმეთ საკვები ბაზის განმტკიცებას. თუ 1959 წელს სიმინდი დათესილი იყო მხოლოდ 60 ჰექტარზე, ახლა იგი დათესილია 320 ჰექტარზე. ნიადაგის ინტენსიურმა გამოყენებამ საშუალება მოგვცა წელს დავგეგმაზადებინა 50 ათასი ცენტნერი თივა, 70 ათასი ცენტნერი სილოსი, 4200 ცენტნერი მარცვალფურაჟი. წელს 100 ჰექტარ სახნავზე ვაწარმოებთ 75 ცენტნერ ხორცს, 476 ცენტნერ რძეს. საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცის, რძისა და კვერცხის ჩაბარების წლიური გეგმები.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე აფშერონის სახელმწიფო ჯიშთსაშენი სადგურის დირექტორი ს. მამედოვი, გაგოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი კ. ბოჩკარიოვა, ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მერძეველობის კათედრის გამგე ზ. დილანიანი, აზერბაიჯანის ვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორი მ. განიევი და სხვები.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს ინსპექტორმა ვ. სერობიანმა.

* * *

მეორე დღეს თათბირ-სემინარის მონაწილეები ეწვივნენ სტეპანავანის საწარმოო სამმართველოს მეცხოველეოპის ობიექტებს. მათ დაათვალიერეს სოფელ სარატოვკის კოლმეურნეობის ახალი მექანიზებული ფერმა.

ამ არტელის მეურნეობა, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრზე, ყველაზე მოწინავეა სომხეთში. მეცხოველეობის შემოსავალი ამ არტელში 300 ათას მანეთს. წელს კოლმეურნეობა მიიღებს 3200 კილოგრამ რძეს თითოეულ საფურაჟე ძროხაზე. კილოგრამი ხორცის თვითღირებულება იქნება 38 კაპიკი, რძისა — 7 კაპიკი. არტელის მეცხოველეებმა იზრუნეს მტკიცე საკვები ბაზის მოწყობისათვის. მათ დაამზადეს თავის წელფწადნახევრის მარაგი, ბევრი სილოსი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ავდალიანმა სტუმრებს უჩვენა „თევზიფფურას“ საწველი აგრეგატის ახალი მექანიზმები, ნაკელის გასატანი ტრანსპორტერი და სხვა. მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რაც არტელს აქვს და მისი განვითარების პერსპექტივებზე. [illegible] ინსტიტუტის [illegible] ინსტიტუტის [illegible] ინსტიტუტის

საერთაშორისო ჟურნალისტთა შეხვედრა

ცხოვრება

ხუთი კონტინენტის ჟურნალისტთა შეხვედრა

„ლიტვა“ მიდის ტრიპოლისაკენ

ტუნისი, 27 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ, გვიან საღამოს საბჭოთა თბომავალმა „ლიტვამ“, რომელშიც ჟურნალისტთა მე-3 მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი არიან, ლუზა აუშვა ტუნისის ნავსადგურში და ტრიპოლისაკენ აიღო გეზი.

ტუნისში გატარებული დრო ფორუმის მონაწილეებმა გამოიყენეს იმისათვის, რომ გაცნობოდნენ ქალაქს და მეგობრული შეხვედრები გაემართათ თავიანთ ტუნისელ კოლეგებთან და ოფიციალურ პირებთან.

საღამოს ჟურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი მიიღო ტუნისის პრეზიდენტმა ჰაბიბ ბურგიბამ. შეხვედრა გადაიქცა თავისებურ პრეს-კონფერენციად, რომლის დროსაც პრეზიდენტმა უპასუხა ბევრ კითხვაზე.

გულთბილი შეხვედრა

პარიზი იური გაგარინს ეგებება

პარიზი, 27 სექტემბერი. (საკადესი). სახელმწიფოთა ბევრ მეთაურს როდი უწყობენ პარიზელები ისეთ შეხვედრას, როგორიც დღეს გაუმართეს პირველ საბჭოთა კოსმონავტ მფრინავს იური გაგარინს. დიდი ხნით ადრე, სანამ მიწაზე დაჯდებოდა თვითმფრინავი „ტუ-104“, რომელმაც ი. გაგარინი ჩამოიყვანა ბურჟეს აეროდრომზე, პარიზის მახლობლად, იქ ასობით ადამიანი შეიკრიბა.

10 საათი და 50 წუთია პარიზის დროით... ვერცხლისფერი ლანერი „ტუ-104“, აეროპორტის შენობასთან ჩერდება. მოუთმენელი შემხვედრნი თვითმფრინავისაკენ მიდიან. წინ არის საბჭოთა ბავშვების ჯგუფი, რომლებსაც ლამაზ ყვავილთა დიდი თაიგულები უჭირავთ. ტაშის გრიალსა და მისასალმებელ შეძახილებში იური გაგარინი საფრანგეთის მიწაზე ადგამს ფეხს.

საბჭოთა კოსმონავტ გმირს მოკლე სიტყვით მიმართა ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ბრენნა, რომელიც მიესალმა მას ფედერაციისა და ასტრონავტიკის მე-14 საერთაშორისო კონგრესის სახელით, რომელიც ახლა მიმდინარეობს პარიზში. „თქვენ, კოსმოსის პირველი ადამიანი, მუდამ იქნებით ჩვენთვის სიმბოლო. ასტრონავტიკის ფედერაცია დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს თქვენს შესანიშნავ გმირობას“.

როგორც ცნობილია, იური გაგარინი პარიზში ჩამოვიდა იმისათვის, რომ მიიღოს მისთვის მინიჭებული ასტრონავტიკის საერთაშორისო „გალაბერის პრემია“ და მონაწილეობა მიიღოს როგორც საპატო სტუმარმა ასტრონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის მე-14 საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში.

— დიდი საბჭოთა ხალხის ძვირფასო შვილო! — მიმართა ი. გაგარინს ამ პრემიის დამფუძნებელმა ბ-ნმა გალაბერმა, — ჩვენთვის დიდი პატივი და სიხარულია მოგესალმოთ თქვენ საფრანგეთის მიწა-წყალზე. თქვენ ადამიანის საუკეთესო თვისებებს: სიმამაცის, გამძლეობის, სიძნელეთა დაძლევაში შეუპოვრობის ცოცხალი განსახიერება ხართ. მოგესალმებით როგორც ადამიანს, რომელიც მეცნიერებას ემსახურება და რომელმაც დიდსულოვნად მიუძღვნა თავისი პირველი კოსმოსური ფრენა მთელი კაცობრიობის კეთილდღეობას. ჩვენ აღტაცებული ვართ საბჭოთა მუშებისა და ინჟინრების გმირობით, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი რაკეტები და თქვენთან ერთად გაუკვალეს კაცობრობას კოსმოსის გზა.

პარიზის გარეუბნების მერებისა და მუნიციპალიტეტების სახელით კოსმონავტს ძიესალმა ქალაქ ბურჟეს მერი.

საასპუხო გამოსვლაში იური გაგარინმა მადლობა უძღვნა შეკრებილთ გულთბილი შეხვედრისათვის, საბჭოთა კოსმონავტებისადმი, მთელი საბჭოთა ხალხისადმი გულთბილი სიტყვებისათვის, და საბჭოთა ადამიანების სახელით გულწრფელად მიესალმა ფრანგ ხალხს.

კოსმონავტი ჯდება წინა ღია ავტომობილში, რომელიც მორთულია ყვავილებით. კორტეჟი ნელა იკვლევს გზას უამრავ ხალხში და გადის პარიზისაკენ მიმავალ გზაზე.

დღეს ჩვეულებრივი სამუშაო დღეა, ადამიანები შრომობენ, და მიუხედავად ამისა მთელ მრავალკილომეტრიან გზაზე საბჭოთა კოსმონავტს ეგებება ათეულ ათასობით პარიზელი და დედაქალაქის გარეუბნების მცხოვრები.

ვილეტის საგუშაგოს გავლით კორტეჟი პარიზში შედის. მიუვიტა შემხვედრი მოძრაობა, ავტომობილები, ანელებენ სვლას: ძალიან ბევრია იმის მსურველი, რომ ხელი ჩამოართვას ადამიანს, რომელიც პირველი შეიჭრა კოსმოსში, ან მხოლოდ შეხედოს მას. რამდენიმე ადგილას ხალხმა გააჩერა კორტეჟი. გაისმის მისალმების აღტაცებული შეძახილები, კოსმონავტის მანქანა პირდაპირ აავსეს ცოცხალ ყვავილთა თაიგულებით. მაგრამ აი საბჭოთა საელჩოს შენობა. კორტეჟი შედის ფართოდ გაღებულ ჭიშკარში. აქ იური გაგარინს გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კოლონიის წევრები.

პარიზი, 28 სექტემბერი. (საკადესი). კოსმონავტი 1 იური გაგარინი გუშინ შეხვდა საბჭოთა კოლონიის წევრებს პარიზში.

საღამოს საბჭოთა კოსმონავტი იყო დარბაზობაზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში, სადაც მას გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი.

პარიზი, 28 სექტემბერი. (საკადესი). გუშინ ნაშუადღევს მსოფლიოს პირველმა კოსმონავტმა იური გაგარინმა, რომელიც აქ იმყოფება, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად იმოგზაურა პარიზში. მან დათვალიერა ტრიუმფალური თაღი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი. შემდეგ კოსმონავტი ავიდა ეიფელის კოშკის ზემო სართულზე.

ყველგან, სადაც გამოჩნდებოდა ი. გაგარინი, მას გულთბილად ხვდებოდნენ პარიზელები.

სხვადასხვა მერიდიანიდან

□ ბელგრადში გაიხსნა ქიმიური მრეწველობის მე-4 საერთაშორისო ბაზრობა. ბაზრობაზე წარმოდგენილია იუგოსლავიის ქიმიური მრეწველობის უახლესი მიღწევანი, რომელიც გადაიქცა ამ ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად. ფართოდ არის წარმოდგენილი მსოფლიო ქიმიის მიღწევებიც. ბაზრობის მუშაობის დღეებში გაიმართება სამრეწველო ქიმიის 34-ე საერთაშორისო კონგრესი.

□ ჩილის პრეზიდენტმა ხორხე ალესანდრიმ შექმნა ახალი მთავრობა. მთავრობის ერთი ჩილეში დაიწყო 14 სექტემბერს, როცა წინანდელი კაბინეტის წევრთა უმრავლესობა გადადგა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ ჩილის ეროვნულმა კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეყო სახსრები ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისადმი დახმარების გასაწევად.

□ პარიზის განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ოას-ელ ტერორისტს ჟან-ლუი დიუმონს, რომელმაც ორანში 1961 წლის ივნისში მოკლა ფრანგი გენერალი ჟინესტი და დ-რი მაბიი. მის თანამონაწილეს ჰარი მარტის მიესაჯა სამუდამო პატიმრობა. თავდასხმის ორ სხვა მონაწილეს, რომლებიც დღემდე თავისუფლად დადიან, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს დაუსწრებლად.

□ ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა გამოაცხადეს, რომ მომდინარე წელს ქალაქში აღირიცხა ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევათა „სხვაშია“ ზრდა. დაავადებათა უმრავლესობა, რომელიც [illegible] წლის პირველ რვა თვეში 12 პროცენტით [illegible] ნა ზანგებსა და პუერტორიკოელთა შორის.

□ ნორვეგიის ტელევიზიის [illegible] პიესა „ძია ვანი“. როგორც [illegible] „ძია ვანის“ გადაცემამ ტელემაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

□ ამ დღეებში ინგლისის ჯარები და პოლიცია თავს დაესხნენ მეშახტე აფრიკელთა სახლებს ჰეი

მაღლობ

მწერალი გრიგოლ ჩიქოვანი „ოდიშური მოთხრობების“ პარალელურად ამჟამად მუშაობს აგრეთვე ნოველების ციკლზე — „შუქი და ჩრდილი“.

ნოველები ასახავს ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის შემოქმედებით შრომას. მათში ნაჩვენები იქნება ის ჩრდილოვანი მხარეებიც, რომლებიც მცირედ, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილია ჩვენს ცხოვრებაში.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ-ერთ ნოველას ამ ციკლიდან.



გრიგოლ ჩიქოვანი

ვალმეგის ხეივანში მიდიოდნენ ზღვის პირას. ფეხქვეშ სილა ხრაშუნობდა. ორივე მის ხმას უგდებდა ყურს.

— რამდენი ხანია ჩამოხვედით და ჩემთან კი არ ყოფილხართ, —დაარღვია დუმილი ლევანმა, — გახსოვთ, ქეთევან: „მეც წავალ იქ... სადაც პალმებია, ყვავილებია, ზღვაა... იქ ცა სულ სხვა ფერისაა“. — გვერდით მიჰყვებოდა და მხოლოდ პროფილს ხედავდა მისას. სწორი ცხვირი, თვალის მოგრძო ჭრილი, პატარა ნიკაპი, მრგვალი ტუჩები.

— თქვენ არ შემცდარხართ მაშინ, ლევან. მართლაც სწრაფად გაიარა სამმა წელმა, — შეხედა და გაუღიმა. — „დიდებულია ნიაღვარი, გუბე, წვიმა... ყველაფერი დიდებულია გარშემო, როცა მარტო არა ხარ და კარგი თვალით ხედავ, როცა...“ სახე ზღვისკენ მიიბრუნა. — ყოველთვის მახსოვდა ეს სიტყვები. ვცდილობდი ყველაფრისთვის კარგი თვალით შემეხედა. ეს თქვენ მასწავლეთ... მეგორნ სულ ჩემ გვერდით იყავით. თქვენი ნთქვამის ისიც კი მჯეროდა, რომ მართლა ნარინჯთა დედოფალი გავხდებოდი.

— ვერ აგისრულეთ დაპირება, —გაუცინა ლევანმა. — დედოფლები ამდენს არ მუშაობენ. შეგაკალით ჩემს საქმეს.

— ის უკვე მარტო თქვენი საქმე აღარ არის, ლევან.

— მოდით, დავანებოთ თავი საქმეზე ლაპარაკს. დღეს ჩვენი პირველი თავისუფალი საღამოა...

— შეხედეთ რა წითლად ჩადის მზე! — გაიწყვიტინა სიტყვა ქეთევანმა და თავი უხერხულად იგრძნო. არ იცოდა, რატომ.

— გაავდარდება, — თქვა ლევანმა.

— ისევ ვეშინიან წვიმის? გახსოვთ როგორ დავსველდით.

— თქვენ თმა ლოყებზე გაგეკრათ. გაწუწული ბავშვს ჰგავდით.

— რა შავია ზღვა, — ისევ გაიწყვეტინა სიტყვა ქეთევანმა და წამოწითლდა, — რა წყნარი, — დაუმატა ჩუმად, შემკრთალი ხმით.

— ლამბერტი წერდა, ეს სახელი ღრუბლის სიშავეს დაუმკვიდრაო.

მზე სწრაფად ეშვებოდა ზღვაში. ცაზე შავი ღრუბლების მთები ერთმანეთს ასხდებოდა და ნაპირისკენ მოისწრაფოდა.

ეზოში რომ შევიდნენ, ლევანმა გასაღები ამოიღო.

— ესეც ჩემი სახლი. თვითონ შევადგინე მისი გეგმა. არც ერთ სახლს არა ჰგავს აქ. იტალიაში ვნახე ასეთი კოტეჯი.

ავიდნენ აივანზე. გააღო კარის ერთი საკეტი, მეორე, მესამე, მეოთხე.

— როგორც ცხოკლიტულში, —გაიცინა ქეთევანმა.

— ბებიას ჰქონდა კიდობანი ცხრაკლიტულით, — უთხრა ლევანმა. —ალბათ იმისგან გამომყვა, — ფართოდ გააღო კარი, საწვიმარი ჩამოართვა.

სასტუმრო, სასადილო, საწოლი უცხოეთის მოდური ავეჯით იყო მორთული. კედლებზე მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული სურათები ეკიდა, ჭერზე —ბროლისა და ფაიფურის ჯაღები.

ქეთევანი კედლის სარკესთან მივიდა. თმა შეისწორა. სარკის თაროზე უამრავი სამშვენისი ელაგა. ძვირფასი ფაიფურის პატარა ძაღლები, ერთი ციცქნა კატები, მაიმუნები, გარეული ცხოველები და ფრინველები. ყველა სასაცილო და მახინჯი იყო. ქეთევანი ღიმილს ვერ იკავებდა. აიღო ერთ-ერთი მაიმუნი, სახაზარლად უშნო და დაქუანული.

— იაპონურია, — უთხრა ლევანმა, — მოგწონთ! ინებეთ... სახსოვრად.

ქეთევანმა სწრაფად დადგა მაიმუნი თაროზე.

— თქვენც მოეწონეთ, — ღიმილით უთხრა ლევანმა და მაიმუნი ხელში ჩაუდო. — შეხედეთ! შემოგცინით. როგორ ფიქრობთ, რამდენი წლისა იქნება? ოთხასის გახლავთ. პარიზში შევიძინე ანტიკვარში.

— თქვენ ყველაფერი ანტიკვარული გიყვარ.

ლევანს ეამა, რომ ქეთევანზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა მისმა ბინამ. სასადილო ოთახში გავიდა და სუფრის გაშლას შეუდგა. მაცივრიდან შამპანური და ხილი გამოიღო, სერვანტიდან ტაბილეულები, თეფშები, ბროლის ფერადი ჭიქები.

— აი ასე ვცხოვრობ, ქეთევან. ვცდილობ ბერბიჭას ბინას არ დაემსგავსოს ზემი კერა... ნუ იცინით! ეს სიბერის ნიშანი როდია! ჩვენ არ ვიცით, რა არის ოჯახური მყუდროება, კომფორტი, დასვენება. ჩვენ მხოლოდ შრომისთვის ვცხოვრობთ.

ქეთევანმა დაკვირვებით შეავლო თვალი ლევანის სახეს.

— ლევან, ნუთუ თქვენ უკმაყოფილო ხართ მუშაობით, ცხოვრებით?!

ლევანმა გაიცინა.

— ამბობენ, ერთხელ მდინარეც შეისვენებსო.

ქეთევანს არ მოეწონა მისი სიცილი. გაკვირვება რომ დაემალა, სავარძელთან მივიდა და ჩაჯდა. მისი თვალები უნებურად შეჩერდნენ საწოლ ოთახში კედლთან ერთმანეთზე დალაგებულ უამრავ ჩემოდანზე. ყველა ტყავისა იყო, სხვადასხვა ზომის და ფერისა, უცხოეთის სასტუმროების ეტიკეტებით აჭრელებული.

— რამდენი ქვეყანა შემოგვლიათ სამ წელიწადში, ლევან!

— კიდევ ბევრი შემეძლო მენახა, მაგრამ საქმემ არ გამიშვა.

— საქმემ არ გაგიშვათ... — უცებ გაჩუმდა.

— რა თქვით?

— არაფერი. ახლა თქვენი „გრიგალის“ პირველი პარტია მზად არის. აღარაფერი შეგიშლით ხელს იმოგზაუროთ, — სახე მიაბრუნა, ფარულად ამოიოხრა.

— როგორ მიხარია, ქეთევან, რომ „გამარჯვების“ პლანტაციას თქვენ უმკურნალებ.

— მალსეკო იქ თითქმის ყველგან მოდო, ლევან.

— ვიცი. დღეს ქავთარაძემ მოხსენა მე თვითონ ჩავატარო მისი მკურნალობა. უარი ვუთხარი. წელიწადზე მეტია ინსტიტუტისა და საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთებზე „გრიგალით“ ვმკურნალობ მალსეკოთი დაავადებულ ახალქართულ ლიმონებს. ვგონებ კმარა ამდენი მტკიცება. ხომ უნდა დავიცვა ბოლოს და ბოლოს სადოქტორო. მოსკოვი მაჩქარებს, თბილისში მელიან.

ქეთევანი ნერვიულად ათამაშებდა თითებში ფაიფურის მაიმუნს. სახეში შეჰყურებდა ლევანს. არ მოსწონდა მისი თვითკმაყოფილი ღიმილი, რომელიც აქ ჩამოსვლის პირველ დღეებშივე შეამჩნია და ყოველნაირად ცდილობდა არ დაეჯერებინა, არ დაენახა.

ლევანი ქეთევანის პირდაპირ ჩაჯდა სავარძელში.

—ქეთევან, წესად მაქვს შინ არავითარ საქმეზე არ ვილაპარაკო. ქიმია, საკვლევი ინსტიტუტი, პლანტაცია, ეს იქ... აქ კი — მე და თქვენ. მოდით, რაიმე მხიარულ მუსიკას მოვუსმინოთ, — სავარძელი რადიომიმღებთან მიიჩოჩა, მოკლე ტალღებზე გადართო.

გაისმა ტაკაცუნი, ბუყბუყი. სწრაფად მოძებნა საჭირო სადგური. აყალარდა ჯაზური მუსიკა, მუსიკაში — უცხოური სიტყვის ცალკეული ფრაზები, მოცეკვავეთა ფეხის ხმა და ჭიკჭკლის წკარუნი.

— რესტორანში უკრავენ, — თქვა ლევანმა და მკაფიოდ მოხაზულ ტუჩებზე სიამოვნების ღიმილმა გადაკარა. — გესმით, ჭიკჭკლის ხმა. იქ დასვენებაც იცინან და შრომაც. ერთი გაჩვენთო, როგორია იქ მეცნიერის სამუშაო დღე.

— ნუთუ ჩვენ არ ვიცით, ლევან, მუშაობა?! — ჰკითხა ქეთევანმა.

— ვიცით, — ცხარედ მიუგო ლევანმა. — და მერე როგორ! წელებზე ფეხს ვიდგამთ. ოღონდ გეგმა შევასრულოთ და არაფერს ვზოგავთ. პროცენტები, ცენტნერები, ტონები. მხოლოდ შრომისათვის ვცხოვრობთ. მას ვანაცვალებთ ოჯახს, სიცოცხლეს, სიყვარულს... აი ჩვენი საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ეკვენი ქავთარაძე. რა არის მისი ცხოვრება! რას ხედავს ოცდაოთხი საათი! ინსტიტუტსა და პლანტაციებს. თუ იქ არ არის, კოლმეურნეობაშია, ან რაიკომში, ან მიელინებაში. გაოცებული ვარ, როგორ უთმენს ცოლი! უთუოდ კარგი ხელფასს გამო.

— იცნობთ ქავთარაძის მეუღლეს, ლევან? — ჰკითხა გაოცებულმა ქეთევანმა.

— ერთხელ ვნახე. ლამაზი ქალი. ეტყობა ჭკვიანიც.

— არა, — უთხრა მტკიცედ, გადაჭრით. — მართალს არ ამბობთ. თქვენ ცდებით.

— რაში?

— ნინოს ქმარი უყვარს, — მიუგო ფიცხად. — ქავთარაძე კარგი ადამიანია, შესანიშნავი მეცნიერი, საქმისათვის თავდადებული.

— არ ვიცოდი, თუ თქვენ ეკგენის მეუღლეს იცნობდით.

— მე მას თითქმის არ ვიცნობ. მაგრამ არა მჯერა თქვენი, არ მინდა ასე ცუდად ვიფიქრო.

ილია. შორს დაიქუხა. ლევანმა რადიომიმღები გამორთო. მის წინ სულ ახლო იყო საყვარელი სახე. ბუდეშური თვალები, ახლა ოდნავ მოჭუტვით რომ უყურებდნენ, სევდიანი ღიმილით.

— ქეთევან, — ვერ დაფარა აღტაცება ლევანმა, — რა მშვენიერი ხართ. ასეთი უნდა იყოთ ყოველთვის: უფროკვლო, მართალი, კეთილი. ამ საღამოს ჩემს სახლში სიწმინდე და სინორჩე შემოვიდა. აქამდე მარტოობა და სევდა სუფევდა,— ადგა, ქეთევანის წინ ენერგიული ნაბიჯით გაიარ-გამოიარა. თვალი მოავლო ოთახს. — ხშირად ეფიქრობ, რათ მინდა ყველაფერი ეს. მივატოვებ და...

— წახვალთ უცხოეთში, სადაც შრომაც იცით და დასვენებაც.

— თუნდაც უცხოეთში, — თქვა ლევანმა. — ვინმე ახლობელთან ერთად... ვინც მიყვარს და ცოტა მასაც ვუყვარვარ, — დაჯდა ისევ ქეთევანის წინ. ხელი ხელზე მოჰკიდა. — ქეთევან, თქვენ ალბათ გრძნობთ, როგორ გამოიცვალა ჩემთვის ყველაფერი თქვენი ჩამოსვლის დღიდან.

— ქეთევანმა ნელა გაითავისუფლა ხელი.

— მას აქეთ ჩემს ცხოვრებას სხვა აზრი მიეცა, — უთხრა ალერსით, — თვალს რათ მარიდებთ, ქეთევან! შემოხედეთ. სამი წელიწადი ვუცდიდი ამ დღეს, — უცებ მიიზიდა და აკოცა.

ქეთევანი ერთი წამით მინებდა. მერე უცებ ხელი ჰკრა, მოიშორა. ფაიფურის ძაღლები გაუვარდა, იატაკზე დაეცა და დაიმსხვრა. მხოლოდ თავი დარჩა მთელი. პირაღმა იდო და სახიზრად იცინოდა. ლევანი დაიხარა და აიღო.

— რა მოხდა, ქეთევან! იყავით უფრო გაბედული, უფრო მართალი.

— მართალი? — სულს ძლივს იბრუნებდა, — კარგით, ვიქნები უფრო მართალი... მეგონა, თქვენ იყავით დიდი... ნამდვილი... მოღვაწე, გმაძავდით, მინდოდა თქვენისთანა ვყოფილიყავი... მაგრამ ახლა... — გაჩუმდა, იგრძნო ასე არ უნდა ეთქვა და მაინც კმაყოფილი იყო იმისა, რაც თქვა.

ლევანი ერთ ხანს გამშრალი იდგა. თვალს ვერ აშორებდა ქეთევანს. გარეთ კვლავ ელავდა და მის ყვითელ, მკვეთრ შუქზე ქალიშვილის სახე გაფითრებული, შემკრთალი ჩანდა.

— ქეთევან, მე თქვენზე არავითარი უფლება არა მაქვს, — თქვა ლევანმა ჩუმი, გაბზარული ხმით. — ვიცი, ადამიანთან ბედნიერება ასე ადვილად არ მოდის...

— მაინძელო!

დაიძახა ეზოში მამაკაცმა ყრუ, ხრინწიანი ხმით.

ლევანი გაჩუმდა. უკმაყოფილოდ შეეკრა სახე. ჩქარი ნაბიჯით გაემართა კარისკენ. ისეთი სიძლიერით გამოაღო, რომ კარი ჯახუნით მიაწყდა კედელს. აივანზე გავიდა.

ქეთევანი ფანჯარას მიუახლოვდა და ეზოში გაიხედა.

სახლის წინ ხანში შესული, უზომოდ მსუქანი გლეხი იდგა. პირმრგვალი იყო, შუაზე გაყოფილი ნიკაპი ჰქონდა. ხმი შალის გამოხუნებული კოსტიუმი და ქირზის ვეება ჩექმა ეცვა. მის შორიახლოს სახედაკაწრული, შავებინი ქალი გაჩერებულიყო. გამხდარი, მწუხარებით შეპმული.

— გამარჯობა, ბიძი! — ქუდი მოუხადა გლეხმა.

— საღამო მშვიდობისა! — მიესალმა შავოსანი ქალი.

— რა ვნეებავთ? — ცივად ჰკითხა ლევანმა. ეტყობოდა ისინი პირველნი არ იყვნენ, სხვებიც აკითხავდნენ შინ. გაღიზიანებული ბრაზით დაჰყურებდა აივნიდან.

— შენი სიკეთე გვინდა, ნენა, — დაიკვნესა შავებინიმა ქალმა.

— კიდევ?

— აი ის ოჯახშენებული, ბიძი, ახალქართული ლიმონის ბერის — მალსეკოს საწამლავი რომ გამოიგონა. — უთხრა გლეხმა,—გულის ისთმა ჰქონდა. ქოშინით, გაჭირვებით ლაპარაკობდა. ელვა ანათებდა მის გაყვითლებულ დაბიეხებულ სახეს, რომელზეც წვიმის წვეთები ეცემოდა.

— ადრე ჩამოსულხართ, ჯერ არა გვაქვს მალსეკოს საწამლავი.

— ადრე კი არა, სახელიც კი გვითხრეს იმ საწამლავის. „გრიგალი“ ჰქვიაო. მუსრს ავლებსო წყეულ მალსეკოს. ცეცხლი გვაკიდია, ნენა. ჩვენს რაიონშიც გაჩნდა ის ამოსაგდები.

— თუ მალსეკო ჩვენს ლიმონებსაც დაერია, ბიძი, — შეხედა მსუქანმა გლეხმა ლევანს. — კოლმეურნეობა უნდა გაოგოვეტოთ. იმ დალოცვილი ახალქართულით გვიდგას სული. იმათ მოგვწოს თავი. სამ მილიონ მანეთს გვაძლევს წლიურად, ძველი ფულით, ბიძი.

— ეგ ბუღალტერია მე არ მეხება. — დაიწყო ლევანმა, მაგრამ შავებინმა ქალმა არ აცალა.

— როგორ თუ შენ არ გეხება, ნენა! ეს ყველას ეხება, ვისაც სული და გული აქვს. თუ ახალქართული გადაშენდა, მარტო გაიოზის კოლმეურნეობის ბუღალტერია კი არ დატრიალდება უკუღმა. მაგრამ შენ რას გერჩით, ჩვენ ის ოქროს გულის კაცი გვინდა, საწამლავი რომ გამოიგონა. ის არის ჩვენი მხსნელი, ჩვენი წამალი. იმისთვის არავის დაუვალებია, ნენა, მაგრამ თურმე ორი წელიწადი დღე და ღამეს ასწორებდა იმ საწამლავის ძებნაში.

— შევარდნაძეაო, ლევანი. აქეთ მოგვასწავლეს, — თქვა მსუქანმა გლეხმა. მის მელოტ, კრიალა თავზე წვიმას წკაპაწკუპი გაჰქონდა.

— ახალქართული თუ გაგიხმათ, „მეიერის“ ჯიში გააშენეთ, — უთხრა ლევანმა მსუქან გლეხს ენაზე მომდგარი პირველი სიტყვა.

— „მეიერის“ ლიმონს ხორგული ტყემალი სჯობია, ნენა, — მიახალა ქალმა და მსუქან გლეხს მიუბრუნდა: — დეიხურე, გაიოზ, მაი ქუდი, ვერ ხედავ სველდები ავანტყოფი კაცი!

— მე თქვენზე უკეთ ვიცი, რა სჯობია, — აუნთო ლევანი. — შემოდგომაზე მოდით. მაშინ მზად გვექნება მალსეკოს საწამლავი.

წვიმამ აივანზე შემოასხა. ლევანმა უკან დაიხია, შეტრიალდა და კარისკენ გაემართა.

ქეთევანი ფანჯარას მოშორდა, მაგრამ იმდენად აღელვებული იყო, ვერ დაფარა, რომ ყურს უგდებდა ლევანის ლაპარაკს.

— რატომ არ უთხარით, რომ შევარდნაძე თქვენს ხართ? — ჰკითხა, როგორც კი ლევანმა კარი მიიხურა და ოთახში შემოვიდა. — რატომ დაუმალეთ? — ქეთევანმა თითქოს ორი ადამიანი იყოდა. ერთი პირდაპირ, მოურიდებლად ელაპარაკებოდ ლევანს, მეორე აკავებდა პირველს. მისი ლაპარაკი უმართებულოდ მიაჩნდა. — იმიტომ, რომ თქვენ არ გაწუხებთ, რა დაემართება იმ კოლმეურნეობა „პლანტაციებს“, — ქეთევანს უნდოდა გაჩერებულიყო, მაგრამ სიტყვები თავისით მოდიოდა. — იმიტომ, რომ „ეს ბუღალტერია“ თქვენ არ გეხებათ... თქვენ კარგი მეცნიერი ხართ. ბევრი იცით, მაგრამ რაც თქვენ არ გეხებათ, ის თქვენთვის სულ ერთია...

— ქეთევან!..

— უკმაყოფილო ხართ, რომ ქავთარაძე სადოქტოროს დასაცავად არ გიშვებთ... თქვენ... თქვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ...

— კმარა! — შეაწყვეტინა ლევანმა.— ბევრის უფლებას აძლევთ თქვენს თავს. გავიგწყდებათ, რომ „გრიგალი“ ჩემი შექმნილია. ჩემს საქმეს მთელი საქართველო იცნობს. რამდენი მოდის აქ ყოველ საღამოს ისეთი მთხოვნელი, როგორც ის ქალი და კაცი...

— თქვენ ისინი წვიმაში შინ არ შემოიპატიჟეთ. არ მიესალმეთ, არც დაეშვიდობეთ. თავსხმაში მიატოვეთ გარეთ...

— როგორ მიბედავთ! — მუშტი დაჭარა ლევანმა მაგიდას. მაიმუნის თავი გაუვარდა და პირაღმა დაეცა. მისი დაფხაჭნილი სახე კიდევ უფრო საზიზღრად შესცინოდა. — თქვენ... თქვენ... —სიტყვას ვერ პოულობდა. — უფროს-უმცროსი არ იცით...

ქეთევანმა სასტუმრო ოთახი გაირბინა, საწვიმარი ჩამოხსნა და კარს მიაშურა.

— მოიცათ! — გაედევნა ლევანი.

ქეთევანმა კარი გააღო. სანამ ლევანი ქუდსა და მაკინტოს ჩამოხსნიდა, აივანზე გავიდა, კიბე ჩაირბინა და მაშინვე წყვდიადსა და ქარიშხალში გაეხვია.

ღვართაკაში ზღვიდან მოჰქონდა ქარს, ირიბად, გამძაფრებით ასხამდა. სველი თმა თვალებზე, ცხვირ-პირზე მიწებებოდა, სუნთქვა ეკვროდა. საწვიმარი ვერ შეიბნია, ქარი არ ანებებდა, ტანიდან აგლეჯდა. ზურგს უკან ტყლაშუნი გაჰქონდა მის აფრიალებულ კალთებს. კაბა თეძო-ბარძაყებზე შემოეტმასნა, სირბილს უშლიდა. შეირბინა ხეივანში. აქ შედგა, რომ სული მოეთქვა. გაიღვა და დაინახა ნაპირზე გამოჭრილი ზვირთის უზარმაზარი ზვინი, რომელიც ისე მაღლა ავარდა, პალმებს გადასცდა და საშინელი ხმაურით მის წინ განერთხა. უმალვე უკან დაიხია, შხრიალით ჩახვეტა ზღვაში ქვა და ქვიშა.

წარამარა ელავდა. ქეთევანი შიშით დასცქეროდა თეთრად განათებულ გზას.

წვიმა მათრახივით ურტყამდა სახეზე. ტკივილით, შიშით და სიცივით აკანკალებულმა არ იცოდა, რა ექნა. დაავიწყდა ლევანი, დავიწყდა ყველაფერი ამქვეყნად. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გაერბინა ხეივანი, გაქცეოდა ზვირთებს, რომ ზღვაში არ ჩაეტაცნა. გაიღვა, მაშინვე იქექა. მეხი მის უკან სადღაც ახლოს დაეცა. შიშმა მოიტაცა. ხმირი ელვა თვალს სჭრიდა. ზვირთები განუწყვეტლივ ატეხდნენ პალმებს, ელვის შუქზე არაბუნებრივად თეთრები და დიდები, ზღართან-ზღართანით ეხეთქებოდა გზას. ქეთევანი მიქცევ-მოქცევით გარბოდა, რომ ზვირთი არ დასც